SAGURAMO ENERGY

D 30. 08. 2021 № EG21-0547240

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6,

ტელეფონი: + 995(32) 2 47 01 01

ბატონო ლევან,

შპს ,,საგურამო ენერჯი (შემდგომში ,,კომპანია'') თქვენი 2021 წლის 15 ივლისის N N7342/01 წერილის (კომპანიაში რეგისტრაციის # IN21-0536717; თარიღი: 21.07.21) გათვალისწინებით და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოგიდგენთ, შპს „საგურამო ენერჯი"-ს 4.4 მგვტ სიმძლავრის საგურამო ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის პირობების შეცვლის" სკრინინგის განცხადებას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადების სრულყოფის მიზნით, კომპანიამ სრულად მოახდინა სამინისტროს 2021 წლის 15 ივლისის N7342/01 წერილით განსაზღვრული შენიშვნების გათვალისწინება, კერძოდ:

- სკრინინგის ანგარიშში აისახა ქვესადგურ „საგურამო-110"-ს ადგილმდებარეობა GPS კოორდინატების მითითებით და shp ფაილების დამუშავებით, ასევე წარმოდგენილია ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის სქემატური ნახაზი (იხ. საგურამო ჰესის ქ/ს „საგურამო-110"-ზე მიერთებისა და ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის სქემატური ნახაზი, გვ. 5 და თანდართული shp ფაილები);
- სკრინინგის ანგარიშში სქემატური ნახაზისა და shp ფაილების სახით მოცემულია და ერთმანეთთან შედარებულია თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული და არსებული მილსადენის დერეფნები (იხ. სიტუაციური რუკა N1. 2015 წლის პროექტი და პროექტში შეტანილი ცვლილებები, გვ. 4 და თანდართული shp ფაილები);
- სკრინინგის ანგარიშში სქემატური ნახაზების და shp ფაილების სახით მოცემულია და ერთმანეთთან შედარებულია თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ჰესის შედარება არსებულ ჰესთან (იხ. სიტუაციური რუკა N1. 2015 წლის პროექტი და პროექტში შეტანილი ცვლილებები, გვ. 4 და და თანდართული shp ფაილები);
- სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილ N1 სიტუაციურ რუკაზე სქემატურად დატანილია ჰესი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა, ტექსტური

№ 15560 31.08.21 2/CD

Address: M. Kostava I Lane #33
Tel: +995 322 93 11 11 Fax: +995 322 98 26 67

ინფორმაციის (ექსპლიკაცია) მითითებით (იხ. სიტუაციური რუკა N1. 2015 წლის პროექტი და პროექტში შეტანილი ცვლილებები, გვ. 4);

- სკრინინგის ანგარიშის ტექსტურ ნაწილში დაზუსტებულია უკვე განხორციელებული და პროექტით დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია.

დანართი: შპს „საგურამო ენერჯი"-ს 4.4 მგვტ სიმძლავრის საგურამო ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის პირობების შეცვლის" სკრინინგის განცხადება (ბეჭდური და ელექტრონული ვერისები) და shp ფაილები.

პატივისცემით,

ირაკლი ბაბუხადია
გენერალური დირექტორი